

თამარ ბითოლენია

**ქართული ენის გენდერული ლექსიკის
სემანტიკური ანალიზი I
(რამდენიმე ლექსიკური ერთეულის მაგალითზე)**

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, აგრეთვე სასაუბრო ენაში, გამოიყოფა ერთი ჯგუფი ლექსიკისა, რომელიც ქალისა და მამაკაცის სოციალურ სტატუსს და სექსუალურ-სოციალურ ქცევას გამოხატავს. ამ ჯგუფის სიტყვებს შეისწავლის ენათმეცნიერების ახალი დარგი – გენდეროლინგვისტიკა. გენდერული თვალსაზრისით საინტერესო ლექსიკაში დასტურდება სიტყვები, რომელთაც ამოსავალი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენით კონოტაცია შეეცვალათ და ახალი მნიშვნელობები განუვითარდათ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობისადმი განსხვავებული დამოკიდებულების საფუძველზე. ამგვარი სიტყვები ქართულ ენაში უკვე წარმოადგენს ქალისა და მამაკაცისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს, რაც უმეტეს შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური, ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორებით აიხსნება.

ქართულ ენასა და მის დიალექტებში ლექსიკურად გამოვლენილი გენდერული განსხვავებულობანი გამოიკვლია რ. ქურდაძემ. მან თავი მოუყარა ლექსიკას, რომელიც საინტერესოა გენდერული თვალსაზრისით (რ. ქურდაძე, 2012:282-292). ქართულ ენაში ასეთი სიტყვებია: გათხოვება, თხოვდება (გათხოვდა, გათხოვილა), ხელი სთხოვა, გაათხოვა, მიათხოვა, ითხოვა; მეუღლე, შვილი, ქალიშვილი, ვაჟიშვილი, ნარევი, უმრეცხლო და სხვანი.

ლექსიკის ამ ჯგუფზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გენდერული ფაქტორი ენაში არის ერთ-ერთი მიზეზი სიტყვის ახალი მნიშვნელობების გაჩენისა.

გათხოვება, თხოვდება (გათხოვდა, გათხოვილა), ხელი სთხოვა, გაათხოვა, მიათხოვა, ითხოვა ფორმებისთვის ამოსავალს წარმოადგენს შესიტყვება ხელი სთხოვა. ამ შესიტყვებაში მოხდა ელიფსისი: სიტყვა ხელი ხშირი ხმარების გამო ამოვარდა და ზმნამ შეიძინა სრულიად ახალი მნიშვნელობა და ახლებური პარადიგმა. მაგალითად, ფორმებში გათხოვდა, ითხოვა, გაათხოვა/მიათხოვა ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის რაღაცის თხოვნა სრულებითაც აღარ იგულისხმება.

ლ. რეხვიაშვილის აზრით, ზმნა გავათხოვე, რომელიც ასე ფართოდ გამოიყენება და თეორიულად ადამიანების ცხოვრებაში დადებით მოვლენას, ოჯახის შექმნას აღნიშნავს, ატარებს დამამკირებელ კონოტაციას (ლ. რეხვიაშვილი, 2012). როდესაც კაცი საქორწილოდ ემზადება, სალიტერატურო ქართულსა და უმეტეს ქართულ დიალექტებში ამბობენ: კაცი ცოლს ირთავს, ქალი თხოვდება; კაცს ცოლი მოჰყავს (ცოლი მოიყვანა). ქორწინების დროს კაცი ირგებს სუბიექტის როლს, მას აქვს მოქმედების უპირატესობა, ის

თხოვლობს, ქალი კი ირგებს ობიექტის როლს – თხოვდება. გენდერული დისბალანსი ცხადად ჩანს იმ პირთა მეტყველებაში, ვინც ცოლის აღმნიშვნელად იყენებს სიტყვებს „ქალი“ და „დედაკაცი“: ქალი მოიყვანა, დედაკაცი მოიყვანა და ა.შ. ამ შემთხვევებში პოლისემიაც ნათლად იგრძნობა, მაგრამ გათხოვება/გავათხოვე ზმნების უარყოფითად აღქმა შედეგია იმისა, რომ ამჟამინდელ მეტყველთა უმრავლესობისათვის ცნობილი არ არის სემანტიკური და მორფო-სინტაქსური ცვლილებები, რაც ამ ორმა ზმნამ განიცადა.

განხილული მაგალითების უმეტესობა კონოტაციურად უარყოფითია. უარყოფითი კონოტაციის მატარებელი სიტყვების ნაწილის პარალელურად ქართულში არსებობს მათი დადებითი კონოტაციის მქონე სინონიმები. მაგალითად, შდრ.: გათხოვება/ცოლის მოყვანა – დაქორწინება, დაოჯახება, შეუღლება, შერთვა და ა. შ.

საინტერესოა საანალიზო სიტყვის სვანური ეკვივალენტის სემანტიკური თავისებურება: ქართ. გათხოვება ზმნას აქვს „თხოვების“ სემანტიკა, სვანურში კი – „გაბატარძლებისა“: წვილ „ბატარძალი“, ლი-წვილ-ალ „გათხოვება“ < ე.ი. „გაბატარძლება“, საინტერესოა ისიც, რომ ალ- მრავალგზისობის მარკერია, ე. ი. „მრავალგზის გაბატარძლება“.

ასევე საინტერესოა შეუღლე. შეუღლება სიტყვები. გ. გვანცელაძე წერს: „შეუღლე თავდაპირველად უღელში გაბმული პირუტყვის მეწყვილე ცხოველს აღნიშნავდა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავდა ცოლს, რა მნიშვნელობითაც მისი ხშირი ხმარება იმდენად ბუნებრივი გახდა, რომ უკვე 951 წლისათვის, როცა იწერებოდა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მას ცოლის მნიშვნელობა მყარად შეუძენია. ამ თხზულებაში სიტყვა შეუღლე ექვსჯერ დასტურდება და უკლებლივ ყველა შემთხვევაში ცოლს აღნიშნავს. მომდევნო პერიოდში სიტყვას ისე განუმტკიცდა ეს ახალი მნიშვნელობა, რომ დღეს მის პირველ მნიშვნელობად თანამეცხედრობა მიიჩნევა. მეორე მნიშვნელობად კი უღლის გამწვევი ცხოველის, მეწყვილის სემანტიკა იქცა. არადა ჯერ კიდევ „შუშანიკის წანებაში“ მიმდებარე დაუღლვილი სიტყვა ჯართან არის დაკავშირებული, თუმცა სინტაგმა დაუღლვილნი ჯარნი გადატანითაა გამოყენებული ადამიანთა მიმართ შდრ. იაკობ ცურტაველის სიტყვები: „და მაშინლა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოვანე და აფოც, ვითარცა ჯართა მწნეთა, დაუღლვილთა ზესკნელისა მის ფასისათა, ყოვლით კრებულთურთ... აღვიხუცნიო პატიოსანნი ძუალნი...“ (გ. გვანცელაძე, 2005: 14). უღელი სიტყვის მეგრული და სვანური შესატყვისებია უღ-უ და უღ-ჟ-ა. გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღადგინა *უღელ არქეტიპი (პ. ფენრიხი, 1990: 330). როგორც ჩანს, უღელი ერთ-ერთი უძველესი სიტყვაა. დღეისათვის ქართულში შეუღლება დაოჯახება-დაქორწინების მნიშვნელობით, თითქოს, დადებითი კონოტაციის მქონედ ითვლება, ვიდრე გათხოვება ან ცოლის მოყვანა. ასევე დადებითი კონოტაციისად მიიჩნევა სიტყვა შეუღლე, ვიდრე ცოლი ან ქმარი. თანამედროვე ადამიანის აღქმით, არაფერია დადებითი იმაში, რომ ცოლ-ქმრის ოჯახური ცხოვრება უღელთან, უღლის სიმძიმესთან და ტვირთის ტარებასთან არის ასოციაციურად დაკავშირებული (შდრ. გამოთქმა „კაპანს ვეწევი“). მაგრამ წარსულში, როცა

სიტყვა მეუღლე-მ თანამეცხედრის სემანტიკა შეიძინა, პირუტყვისადმი სულ სხვაგვარი დამოკიდებულება იყო და ეს სიტყვა სულაც არ გულისხმობდა ქალის დაკნინებას, პირიქით, ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებისა და მოვალეობების მქონედ გამოდიოდნენ. სხვაგვარად, სიტყვაში ჩანს, თუ როგორაა აღქმული და ენაში ასახული ოჯახური ყოფა-ცხოვრება ქართველი ადამიანის მიერ. საანალიზო სიტყვის მიერ ახალი სემანტიკის შექმნა უეჭველად გენდერულ ფაქტორს უკავშირდება მეტაფორიზაციასთან ერთად.

გენდერის და, ასევე, სემანტიკური ცვალებადობის მიხედვით საინტერესოა სიტყვა შვილი, რამდენადაც იგი შვა ზმნისაგან არის მიღებული და ბუნებრივია, განურჩევლად, საერთოდ ნაშობს (ვაჟსა თუ ქალს) აღნიშნავდეს (იხ. ქ. ლომთათიძე, 1987: 179), მაგრამ შემდგომში დიალექტთა მიხედვით მისი მნიშვნელობა დავიწროვდა და ზოგან ახლა მხოლოდ ვაჟს გამოხატავს. მაგ., მოხეურში გვხვდება „ერთი შვილი მყავს და ორი ქალი“ (ი. ქავთარაძე, 1985). ზოგ დიალექტში (განსაკუთრებით მთაში) გოგონა შვილად არ მოიხსენიება. კაცი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი – ერთი ბიჭი და ორი გოგო – კითხვაზე, თუ რამდენი შვილი ჰყავს მას, უპასუხებს: ერთი შვილი და ორი გოგო. შვილში ჩვეულებრივ ბიჭი იგულისხმება (რ. ქურდაძე, 2002: 284); ქიზიყურში კი პირიქით მიუთითებენ, შვილი ნიშნავს გასათხოვარ ქალს, გოგოს (ქ. ლომთათიძე, 1987: 179; ქეგლ, 1962. VII).

მოვიყვანთ რ. ქურდაძის მიერ გაანალიზებულ რამდენიმე მაგალითსაც:

ნარევი სალიტერატურო ენაში არის „სხვადასხვა რამისგან შემდგარი, მთლიანი, სხვადასხვა რამე ერთმანეთში არეული, შერეული“ (ქეგლ, ტ. V). იგივე სიტყვა მთიულურ კილოკავში დედათა წესის მქონე ქალს აღნიშნავს, ხევსურულ დიალექტში კი – ადამიანს, რომელმაც მკვდარი უნდა მოამზადოს დასამარხად (ა. შანიძე, 1984: 362, 372; რ. ქურდაძე, 2012: 28). აქ წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ გაუჩნდა ასეთი სპეციფიკური მნიშვნელობები ამ ჩვეულებრივ სიტყვას. ჩვენეული ახსნა ასეთია: დედათა წესის დროს ქალი მიიჩნეოდა უწმინდურად და ამის გამო მენსტრუაციის დროს ქალს სახლში ყოფნა ეკრძალებოდა, ანუ ქალს, მთიულთა შეხედულებით, ამ პერიოდში უწმინდურობა შეერეოდა. ხევსურეთში კი მიცვალებული უწმინდურად მიიჩნეოდა. ამ ეთნო-კულტურულ შეხედულებებს უნდა განესაზღვრა მთიულურსა და ხევსურულში სიტყვა ნარევის განსხვავებული მნიშვნელობების წარმოქმნა. ამ ორი დიალექტის მაგალითიდან გენდერული თვალსაზრისით საინტერესოა პირველი, მთიულურის შემთხვევა.

უმრეცხლო მომდინარეობს რეცხვა ზმნისაგან და ნაწარმოებია უარყოფითობის მაჩვენებელი უ- -ო კონფიქსით. უმრეცხლო მთიულურ-გუდამაყრულ და თუშურ დიალექტებში გვხვდება გოგონას აღსანიშნავად, რომელსაც ჯერ დედათა წესი არ ჰქონია, ხოლო ამავე ტერმინით ხევსურულ დიალექტში ორსულ ქალს აღნიშნავენ (ა. შანიძე, 1984: 409; რ. ქურდაძე, 2002: 284). ჩვენი აზრით, მთიულ-გუდამაყრელთა რწმენით, უმრეცხლო არის ის, ვისაც მენსტრუაციის დროს განბანა, საცვლის რეცხვა ჯერ კიდევ არ სჭირდება, ხოლო ხევსურულში იგულისხმება ორსული ქალისთვის ციკლის უქონლობა.

ქართული ენა სავსეა ძველი და ახალი ტერმინებით. თანამედროვე სლენგში ბოლო დროს სექსუალური ქცევის აღსანიშნავად სულ უფრო მკვიდრდება სიტყვები: მისცა, დაკერა, შეაბა, შეეტენა, გააფორმა, მიამყნო, აეკიდა, იხმარა, ნახმარი... დასახელებული უპატივცემულო გამონათქვამები ქალს ან მის ქცევას მიემართება.

ყველა ამ მაგალითში საქმე გვაქვს ენაში არსებულ სიტყვათა მეორეულ მნიშვნელობებთან, რომლებიც ხაზგასმით დატვირთულია გარკვეული კონოტაციით (ძირითადად უარყოფითით). ამასთანავე, ამ მაგალითებითვე დასტურდება პოლისემიის წარმოქმნა გენდერის ნიადაგზე.

განხილული ქართული გენდერული ლექსიკა ცხადად გვიჩვენებს, რომ სიტყვები ინარჩუნებენ ამოსავალ, პიოველად მნიშვნელობებს, ასევე, იოლად იჩენენ ახალ სემანტიკას, რომელიც, ჩვეულებრივ, განპირობებულია სოციალური, ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორებით და მუდამ ახლავს გარკვეული კონოტაცია.

სტატია წარმოდგენს ქართული ენის გენდერული თვალსაზრისით დაწყებული სისტემური კვლევის ნაწილს და იგი ეძღვნება ლექსიკურად გამოვლენილი გენდერის ანალიზს. მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- გ. გვანცელაძე, 2005 - გ. გვანცელაძე, ცხოველთა სახელები, როგორც ადამიანის მახასიათებლები ქართულში, თბ., 2005.
- ქ. ლომთათიძე, 1987 - ქ. ლომთათიძე, შვილ ფუძის შედგენილობის საკითხი, აკაკი შანიძე 100 - საიუბილეო კრებული, თბ., 1987.
- ლ. რეხვიაშვილი, 2015 - ლ. რეხვიაშვილი, „მომეცი/მოგეცის“ ენა — გენდერული იერარქიები ქართულში. <http://liberali.ge/blogs/view/5525/mometsimogetsis-ena-genderuli-ierarqiebi-qartulshi> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.11.2015.
- პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1985 - პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
- ი. ქავთარაძე, 1985 - ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხვეური დიალექტი, თბ., 1985.
- ქეგლ, V - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.
- ქეგლ, VII - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბ., 1962.
- რ. ქურდაძე, 2002 - რ. ქურდაძე, ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XIII, 2002.
- რ. ქურდაძე, 2012 - რ. ქურდაძე, თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები, თბ., 2012.
- ა. შანიძე, 1984 - ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I თბ., 1984.

TAMAR GITOLENDIA**SEMANTIC ANALYSIS OF GENDER VOCABULARY IN GEORGIAN I.
(USING SEVERAL LEXICAL UNITS)**

A certain group of lexical units is attested in the Georgian literary language and dialects as well as spoken Georgian referring to social status as well as sexual and social behavior of females and males. Gender linguistics which is a new sub-field of linguistics covers such types of words. Gender-specific vocabulary includes words which have primary meanings, though their connotation has been modified and acquired new meanings due to psychological, social and cultural factors, based on different attitudes towards male-female relationship. The above-mentioned words already represent male-/female-specific stereotypes in the Georgian language.

The article provides a discussion on several words with gender-specific semantics separating primary and secondary meanings (i.e. those having the gender-specific genesis). The analyzed lexical units mostly have a negative connotation.

The article represents part of systemic research started on gender-specific semantics of the Georgian language and is focused on the analysis of gender-specificities expressed through the vocabulary.

The proposed article has been prepared with support of young scientist grant provided by the *Shota Rustaveli National Science Foundation*.